2022 წლის **28** იანვარს 13**:0**0 საათზე გაიმართება სამეურვეო საბჭოს სხდომა

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებია:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენ. დირექტორის **N53 21/01/2022** წლის სამსახურებრივ ბარათში აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. საკითხი ეხება შპს „წიგნების თარო“-სთან ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემას. იმის გათვალისწინებით, რომ გასაფორმებელი ხელშეკრულების ღირებულება აღემატება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის **1%**-ს, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის **30(1)**-ე მუხლის საფუძველზე საჭიროებს სამეურვეოსაბჭოს თანხმობას;
2. მიმდინარე საკითხები;

სხდომა გაიმართება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს სხდომათა ოთახში.